

თეა წუღუკიანს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება გაუხარდება

იუსტიციის მინისტრ თეა წუღუკიანის განცხადებით, ის მოხარული იქნება, თუკი ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვიდი პოლიტიკაში დაბრუნდება.

„თუ პოლიტიკაში მობრუნდება ყოფილი პრემიერი, მე, როგორც ერთ ადამიანს ეს გამიხარდება.

მაგრამ რამდენადაც ვიცი, ის ამას არ აპირებს“, – განაცხადა თეა წუღუკიანმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვიდს პოლიტიკაში დაბრუნების თხოვნით მიმართოს.